საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერიაშვილი ზარბეგ ივანეს ძე

ბერიაშვილი ზარბეგ ივანეს ძე (10. IX. 1939, თბილისი–22.IV. 2020, იქვე), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა).

1969 მიენიჭა სსრკ სპორტის დამს. ოსტატის წოდება. თბილ. „ქარიშხალას“ (1958 – 65) და „სპარტაკის“ (1966 – 70) წევრი. 1964 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. 12-ჯერ მონაწილეობდა სსრკ ჩემპიონატებში.

6-ჯერ (1962 – 66, 1969) იყო სსრკ ჩემპიონი. ევრ. სამგზის (1966, 1967, 1970) და მსოფლიოს (1969) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების სამგზის (1963, 1965, 1967) ვერცხლის პრიზიორი. 6-ჯერ მოიგო საერთაშ. ტურნირები.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ნ. გუგუშვილი